



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 278

ქალაქი ქუთაისი 29 ივნისი 2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით /სასყიდლით, პირობებით/, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის №266 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და შპს „ჯეო დისტრიბუშენ გრუპის“ დირექტორის 13.06.2016 წლის №13853/01 მომართვის საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით /სასყიდლით, პირობებით/, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის №266 განკარგულების დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

ელექტრონული აუქციონის ფორმით /სასყიდლით, პირობებით/
სარგებლობაში გასაცემი ქონების ნუსხა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი კვ.მ.	საწყისი წლიური საიჯარო ქირა ლარი	საჯარო რეესტრის ამონაწერი №
1	2	3	4	5	6
1	ტროტუარის ნაწილი	ბუკიას ქუჩა №2-ის აღმოსავლეთით	14	500	03.01.23.368
2	ტროტუარის ნაწილი	დავით და კონსტანტინეს ქუჩა, სანაპირო ზოლი, ნაკვეთი №1	14	500	03.02.23.029
3	გზის ნაწილი	ჭავჭავაძის გამზირი №42-ის დასავლეთით	14	500	03.04.30.493
4	ტროტუარის ნაწილი	ბუხაიძის ქუჩა №5-ის დასავლეთით	14	500	03.01.22.295

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი